აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ოქმი №1

აბაშა, 2025 წლის 6 ნოემბერი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დავით ცანავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზეზვა მაკალათია, მამუკა კვიტაშვილი, ვლადიმერ ავალიანი, მეგული ჩოჩია და მურთაზ ჯალაღონია

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა თოფურიას განცხადების განხილვის თაობაზე.
   მომხს. დ. ცანავა
2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა ლაბარტყავას განცხადების განხილვის თაობაზე.
   მომხს. დ. ცანავა
3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა ლაბარტყავას განცხადების განხილვის თაობაზე.
   მომხს. დ. ცანავა
4. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.
   მომხს. დ. ცანავა

5. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა თოფურიას განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ განმარტა, რომ საკრებულოს უფრაქციო წევრმა გელა თოფურიამ პირადი განცხადებით მიმართა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ, რის შესახებაც ეცნობა საკრებულოს ბიუროს.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის N65 განკარგულებით უფრაქციო წევრებისთვის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიაში გათვალისწინებულია ერთი ადგილი.

დადგენილი კვოტის შესაბამისად, გელა თოფურიას განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

გელა თოფურია აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან, შესაბამისად, საკრებულოს ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

აბაშა, უ. კაჭარავას ქ. №1 2025 წლის 6 ნოემბერი

დასკვნა №1

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა თოფურიას განცხადების განხილვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 28-ე მუხლის ,,2²" პუნქტის შესაბამისად,

დაკმაყოფილდეს საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა თოფურიას განცხადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ და საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გატანილ იქნეს საკითხი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

.

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: დ. ცანავა

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა ლაბარტყავას განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ განმარტა, რომ საკრებულოს უფრაქციო წევრმა გელა ლაბარტყავამ პირადი განცხადებით მიმართა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ, რის შესახებაც ეცნობა საკრებულოს ბიუროს.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის N65 განკარგულებით უფრაქციო წევრებისთვის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გათვალისწინებულია ერთი ადგილი.

დადგენილი კვოტის შესაბამისად, გელა ლაბარტყავას განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

გელა ლაბარტყავა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან, შესაბამისად, საკრებულოს ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

აბაშა, უ. კაჭარავას ქ. №1 2025 წლის 6 ნოემბერი

დასკვნა №2

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა ლაბარტყავას განცხადების განხილვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 28-ე მუხლის ,,2²" პუნქტის შესაბამისად,

დაკმაყოფილდეს საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა ლაბარტყავას განცხადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ და საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გატანილ იქნეს საკითხი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: დ. ცანავა

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა ლაბარტყავას განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ განმარტა, რომ საკრებულოს უფრაქციო წევრმა გელა ლაბარტყავამ პირადი განცხადებით მიმართა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ, რის შესახებაც ეცნობა საკრებულოს ბიუროს.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის N65 განკარგულებით უფრაქციო წევრებისთვის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გათვალისწინებულია ერთი ადგილი.

დადგენილი კვოტის შესაბამისად, გელა ლაბარტყავას განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

გელა ლაბარტყავა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან, შესაბამისად, საკრებულოს ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

აბაშა, უ. კაჭარავას ქ. №1 2025 წლის 6 ნოემბერი

დასკვნა №3

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა ლაბარტყავას განცხადების განხილვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 28-ე მუხლის ,,2²" პუნქტის შესაბამისად,

დაკმაყოფილდეს საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა ლაბარტყავას განცხადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ და საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გატანილ იქნეს საკითხი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: დ. ცანავა

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვა: მ. კვიტაშვილმა

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ

დაადგინა:

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

აბაშა, უ. კაჭარავას ქ. №1 2025 წლის 6 ნოემბერი

დასკვნა №4

,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სრულად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ასევე დაცულია დოკუმენტაციის წარმოდგენის საპროცედურო ნორმები და ვადები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ დაავალა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დავით ცანავას აღნიშნულის შესახებ აცნობოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონ იასონ კიზირიას და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, რათა აღნიშნული დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: დ. ცანავა

მოისმინეს:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: მ. ჩოჩიამ

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ

დაადგინა:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

აბაშა, უ. კაჭარავას ქ. №1 2025 წლის 6 ნოემბერი

დასკვნა №4

„აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი სრულად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ასევე დაცულია დოკუმენტაციის წარმოდგენის საპროცედურო ნორმები და ვადები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ დაავალა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დავით ცანავას აღნიშნულის შესახებ აცნობოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონ იასონ კიზირიას და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, რათა აღნიშნული განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავა